ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N24

23 მარტი 2016 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **შპს „ჰორეკა"** წარმოდგენილი მისი დირქტორის ბორის თოფურიას სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:
"

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების პირობების თანახმად შემსყიდველი ახორციელებს მიმწოდებლისაგან დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის ეტაპობრივ შესყიდვას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **1 500 (ათას ხუთასი) ლარი**, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ერთეულის ფასები მოცემულია, წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლისას, თუ მიმწოდებლის მიერ მიწოდებულმა საქონლის ღირებულებამ არ მიაღწია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების თანხას, მიმწოდებელს არ წარმოეშობა დარჩენილ თანხაზე მოთხოვნის უფლება და შემსყიდველი არ არის ვალდებული მოახდინოს აღნიშნული თანხის ანაზღაურება მიმწოდებლისათვის, ან ამ თანხის სხვაგვარად გახარჯვა საქონლის შეკვეთის მიზნით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სასაქონლო ზედდებულისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მისი წამრმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღება-ჩაბარება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედდებულით.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" შესყიდვების კოორდინატორი – მაია კუჭაშვილი.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, მელიქიშვილის N16.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება პერიოდულად 2016 წლის 31 აგვისტომდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნის გაკეთებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.4. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.5. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრამდე.
9.2. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
9.2.1. მოქმედების ვადის გასვლა;
9.2.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმება;
9.2.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.
9.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველის მიერ შესყიდული საქონლის თანხა მიაღწევს ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებას, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდება ავტომატურად.

10. სხვა პირობები

10.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს“

11. მხარეთა რეკვიზიტები:

“შემსყიდველი“

შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია“

მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34

ს/კ 204568208

ბანკი: სს “ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

“მიმწოდებელი“

შპს „ჰორეკა“

მის: ქ. თბილისი, აბო თბილელის ქ. №10

ს/კ 204557452

ბანკი: სს “თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა GE31TB1835536020100003

დირექტორი
ბორის თოფურია

დანართი N 1

№	საქონლის დასახელება	CPV	რაო-ბა ყუთში	ერთ. ღირ - ბა	ყუთის ღირ-ბა
1	პირსახოცი პრემიუმი 2 ფენა *110 ცალი	33700000	21	5,50	115,50
2	პირსახოცი ედვანსი 2 ფენა *136 ცალი	33700000	21	5,50	115,50
3	დაჭრილი ცალობრივი ტუალეტის ქაღალდი ედვანსი 2 ფენა * 242 ცალი	3370000	36	2,50	90,00
4	A2 ჰაერის არომატ. დისკი ყვავილის * 20 ცალი	3980000	4	75,00	300,00
5	სელეკტ. H2 ეკო ZZ პირსახოცი 2 ფენა * 200 ცალი (22,5X23,5 სმ)	3370000	12	2,70	32,40
6	VP უნიტაზის სადეზინფექციო საშუალება 750 მლ. **(2003G006)**	3980000	12	5,00	60,00
7	VP შუშისა და სარკის საწმენდი საშუალება 750 მლ. **(2003G008)**	3980000	12	3,30	39,60
8	VS სახეხი ფხვნილი ლიმონით*1კგ. (კომეტისმაგვარი) (2101901L) (2150901L ახალი)	3980000	15	2,70	40,50
9	VP თხევადი საპონი *4 ლტ	3370000	4	12,50	50,00
10	ჩირტონი-ჰაერის არომატიზატორი ზღვის*300მლ	3980000	12	2,65	31,80
11	ჩირტონი-ჰაერის არომატიზატორი წვიმის შემდეგ*300მლ	3980000	12	2,65	31,80
12	ჩირტონი-ჰაერის არომატიზატორი ტროპიკული კუნძული*300მლ	3980000	12	2,65	31,80
13	ჩირტონი-ავეჯის საპრიალებელი აეროზოლი კლასიკი*300მლ	3980000	24	3,60	86,40
14	ჩირტონი-ავეჯის საპრიალებელი აეროზოლი ლინომი*300მლ	3980000	24	3,60	86,40
15	ST-მფ.შუშის და სარკის საწმენდი 30X40 სმ (შუშის,სარკის,სათვალის,ოპტიკური და პლაზმური ზედაპირის საწმენდი)-PS-5710	3980000	20	2,60	52,00
16	ST-ტილო მ/ფიბრა იატაკისათვის 50X60 სმ (ყველა ტიპის იატაკის ზედაპირის გარეცხვა-გაწმენდისათვის)-PS-5802	3980000	6	7,50	45,00
18	SH-რეზინის ხელთათმანი-L -R-0769	3980000			
19	SH-ტილო იატაკის თეთრი 40X60 სმ (ყველა ტიპის იატაკისათვის)-PS-4651	3980000	50	1,50	75,00

20	SH-ტიდო იატაკის ნაცრისფერი სქელი დიდი 60X60 სმ (ყველა ტიპის იატაკისათვის)-PS-4644	3980000	40	1.25	50.00
21	SH-პარკი ნაგვის 35ლ*50ც-WNS-0516	3980000	40	2.00	80.00
22	SH-რეზინის ხელთათმანი-S -R-0745	3980000	48	1.40	67.20
23	SH-რეზინის ხელთათმანი-M -R-0752	3980000	48	1.40	67.20
24	SH-რეზინის ხელთათმანი-L -R-0769	3980000	48	1.40	67.20
25	EM–მოპი ნოტიო დასუფთავებისათვის* 50 სმ	3980000	50	10	500
26	EM–მოპის ძირი პლასტმასის* 50 სმ	3980000	25	18	450
27	EM–მოპის ტარი მეტალის* 140 სმ	3980000	50	11	550

"GEORGIAN LOTTERY COMPANY" LTD. 204568208

"HORECA" LTD 204557452